

კავკასიის უნივერსიტეტი



კავკასიის არქიტექტურისა და დიზაინის სკოლა  
CAUCASUS SCHOOL OF ARCHITECTURE AND DESIGN

საბაკალავრო პროგრამა  
არქიტექტურა



**კავკასიის უნივერსიტეტი**  
**კავკასიის არქიტექტურისა და დიზაინის**  
**სკოლა**

<b>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</b>	
	არქიტექტურა
<b>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე</b>	
	Architecture
<b>უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური</b>	
	ბაკალავრიატი
<b>საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი</b>	
	აკადემიური
<b>სწავლების ენა</b>	
	ქართული
<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კოდი</b>	
ქართულად:	არქიტექტურის ბაკალავრი 0731
ინგლისურად:	Bachelor of Architecture 0731
<b>პროგრამის დამტკიცების და განახლების თარიღი</b>	
	ბრძანება №01/01-17, 26.02.2016; ბრძანება №01/01-65, 29.11.2022
<b>პროგრამის ხელმძღვანელი</b>	
	ხელმძღვანელი - მარიამ მენაბდე თანახელმძღვანელი - მარიკა ფოჩხუა
<b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით</b>	
<p>პროგრამით განსაზღვრული კვალიფიკაციის მისაღებად გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის ათვისება. თითოეულ წელიწადში 60 ECTS კრედიტის განაწილებით.</p> <p>საბაკალავრო პროგრამის სწავლების სტანდარტული ვადაა ოთხი, ხოლო დასაშვები ხანგრძლივობა ექვსი წელიწადი.</p> <p>1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.</p> <p>პროგრამა სტრუქტურულად დაყოფილია ძირითადი სწავლის სფეროს და თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსებად:</p> <p><b>ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები (200 კრედიტი):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სავალდებულო სასწავლო კურსები - 190 კრედიტი;</li> <li>- არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი.</li> </ul> <p><b>თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები (40 კრედიტი):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 25 კრედიტი;</li> <li>- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი.</li> <li>- თავისუფალი კრედიტები - 5 კრედიტი.</li> </ul>	
<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით.</li> <li>• ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად ინგლისური ენის ჩაბარება.</li> <li>• პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.</li> </ul>	

## პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

### პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზნებია:

- 1) მისცეს სტუდენტს ფართო, თეორიულ არქიტექტურაზე ორიენტირებული ცოდნა, რომელსაც წარმატებით გამოიყენებს არქიტექტურულ პროექტირებაში.
- 2) სტუდენტმა მიიღოს კვლევაზე დაფუძნებული მრავალმხრივი (სინთეზური) თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რათა მან სისტემურ ანალიზზე დაყრდნობით მოახდინოს არქიტექტურული მიმართულებების ერთიანობაში მოქცევა.
- 3) სტუდენტმა მიღებული ცოდნისა და არქიტექტურული ფასეულობების გამოყენებით, ისტორიულ და ურბანულ გარემოში შეძლოს პროექტირება მდგრადი არქიტექტურის პრინციპების, უსაფრთხოებისა და პროფესიული ეთიკის ნორმების გათვალისწინებით.

### პროგრამის სწავლის შედეგი

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ კომპეტენციებს:

- 1) აღწერს არქიტექტურის ისტორიის თეორიისა და მასთან დაკავშირებული აკადემიური სფეროების ხელოვნების, ტექნოლოგიების, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების საკითხებს;
- 2) იზიარებს სოციალურ-კულტურულ, ქალაქმთმენებლობით არქიტექტურულ ფასეულობებს და კონტექსტებს, ასევე, გარემოს დაცვასა და არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობებს;
- 3) აღწერს არქიტექტურული პროექტების/კონცეფციების შემუშავებისთვის აუცილებელ პროცედურებს და პროცესებს, ასევე, დაპროექტების თეორიისა და მეთოდების ზოგიერთ ასპექტს;
- 4) პროექტირებისას ითვალისწინებს შენობა-ნაგებობების სისტემებთან დაკავშირებულ სტრუქტურებს, მასალებს, კონსტრუქციებს სამშენებლო პროცესებს, ტექნოლოგიებსა და სხვა საინჟინრო საკითხებს;
- 5) გარემოს დაგეგმარების, შენობა-ნაგებობების დაპროექტების, მშენებლობის, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესებში ითვალისწინებს საზოგადოებრივ მოთხოვნებს, დამკვეთისა და მომხმარებლის ინტერესებს, დარგობრივ სამართლებრივ რეგულაციებს და არქიტექტორთა პროფესიულ ეთიკას, არქიტექტურის პროფესიის როლსა და მნიშვნელობას;
- 6) წარმოსახვითი და შემოქმედებითი მიდგომით, სამგანზომილებიანი, სივრცითი აზროვნებით აყალიბებს საპროექტო კონცეფციას და წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ფუნქციური, ტექნიკური, ესთეტიკური და პროფესიული ეთიკის მოთხოვნების გათვალისწინებით, ქმნის არქიტექტურულ პროექტს;
- 7) საპროექტო დავალებისთვის შერგოვილი ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით და წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად ამუშავებს და დოკუმენტურად აფორმებს არქიტექტურულ პროექტს;
- 8) პროექტში, როგორც ერთ მთლიან შემაჯამებელ დოკუმენტში, ერთდროულად ითვალისწინებს და ასახავს კონსტრუქციებს, ტექნოლოგიებს, მასალების ტექნიკურ, ესთეტიკურ და საექსპლუატაციო თვისებებს, ასევე სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, ტექნიკურ და უსაფრთხოების სისტემებს;
- 9) არქიტექტურული პროექტის შემუშავების, წარდგენისა და განხილვისას იყენებს ელექტრონულ, გრაფიკულ, მაკეტირების, ვერბალურ, წერით, მულტიმედიაურ მეთოდებს;
- 10) არქიტექტურული დაპროექტების პროცესში, პროფესიული ეთიკის მოთხოვნებისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით, მუშაობს ინდივიდუალურად ან გუნდში და ამ პროცესში ამყარებს კომუნიკაციას;
- 11) განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას;
- 12) ითვალისწინებს კლიმატური ცვლილებების ზემოქმედებას არქიტექტურაზე, ეთიკური საკითხების, მდგრადი არქიტექტურის და შრომითი უსაფრთხოების მნიშვნელობას არქიტექტურაში.

### დასაქმების სფეროები

მიღებული აკადემიური ხარისხი კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციაში, იქნება ეს სამთავრობო სტრუქტურა, კერძო ბიზნეს კომპანია, თუ სხვა. საქართველოს შრომის ბაზარზე პოტენციური დამსაქმებლები შეიძლება იყვნენ როგორც უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები, ისე სახელმწიფო და კერძო არქიტექტურული სახელოსნოები, სამშენებლო კომპანიები, სახელმწიფო სტრუქტურაები (მერია და ა.შ.), ადგილობრივი თვითმმართველობის (სანებართვო, მარეგულირებელი და მაკონტროლებელი) ორგანოები:

- არქიტექტურული საპროექტო და დიზაინ-სტუდიები;
- ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურები და ფონდები;
- არქიტექტურულ-სამშენებლო და დეველოპერული კომპანიები;
- აზომვითი სამუშაოების მწარმოებელი ფირმები და სხვა.

### სწავლის გაგრძელების საშუალება

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამაზე, გარდა იმ სამაგისტრო პროგრამებისა, რომელთა აუცილებელი მოთხოვნაა საბაკალავრო დიპლომის ფლობა იმავე სპეციალობაში.

### სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლება-სწავლის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს და უზრუნველყოფენ შედეგის მიღწევას, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით გამოიყენება შემდეგი სახის მეთოდები:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი
- წიგნზე მუშაობის მეთოდი
- ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი
- პრაქტიკული მეთოდები
- დისკუსია/დებატები
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა
- თანამშრომლობითი სწავლება
- გონებრივი იერიში (Brain Storming)
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- ელექტრონული სწავლება (E-learning)
- შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი,
- სწავლების დედუქციური მეთოდი
- ინდუქციური მეთოდი
- დედუქციური მეთოდი
- ანალიზის მეთოდი
- სინთეზის მეთოდი

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ანაცვლებენ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

### პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები

პროგრამას ემსახურება კავკასიის უნივერსიტეტის 34 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კერძოდ, პროფესორი 8 (აფილირებული 5) , 1 ასოცირებული პროფესორი, 2 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი და 23 მოწვეული ლექტორი. რომლებიც საკუთარი კვალიფიკაციის შესაბამისად უშუალო მონაწილეობას იღებენ სტუდენტებში პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარებაში.

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	VII სემესტრი	VIII სემესტრი	
<b>ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები</b>												
<b>სავალდებულო სასწავლო კურსები</b>												
1.	ARC 1141		ხაზვა	x								5
2.	ARC 1142		სახვითი ხელოვნება I	x								5
3.	ARC 1143		შესავალი არქიტექტურაში	x								5
4.	ARC 1241		არქიტექტურის ისტორია		x							5
5.	ARC 1242	ARC 1142	სახვითი ხელოვნება II		x							5
6.	ARC 1243	ARC 1143	არქიტექტურის კომპოზიციის საფუძვლები		x							5
7.	ARC 1244	ARC 1141	კომპიუტერული გრაფიკა AutoCAD არქიტექტორებისთვის		x							5
8.	ARC 2141	ARC 1243	არქიტექტურული დაგეგმარება I			x						8
9.	ARC 2142		არქიტექტურული კონსტრუქციები I			x						5
10.	ARC 2143		კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა ArchiCAD			x						5
11.	ARC 2144	ARC 1241	თანამედროვე არქიტექტურა			x						5
12.	ARC 2145		მდგრადი არქიტექტურა I			x						2
13.	ARC 2241		ურბანული დაგეგმარება I				x					5
14.	ARC 2242	ARC 2141	არქიტექტურული დაგეგმარება II				x					8
15.	ARC 2243	ARC 2142	არქიტექტურული კონსტრუქციები II				x					5
16.	ARC 2244		შრომის უსაფრთხოება				x					5
17.	ARC 2245	ARC 2145	მდგრადი არქიტექტურა II				x					2
18.	ARC 3141	ARC 2241	ურბანული დაგეგმარება II					x				5
19.	ARC 3142		კომპიუტერული გრაფიკა Revit architecture I					x				5
20.	ARC 3143	ARC 2242	არქიტექტურული დაგეგმარება III					x				8
21.	ARC 3144	ARC 2245	მდგრადი არქიტექტურა III					x				2
22.	ARC 3145		ინტერიერის 3D მოდელირება					x				5

№	საგნის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	VII სემესტრი	VIII სემესტრი		
23.	ARC 3241		შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება და მისაწვდომობა I							x			5
24.	ARC 3242	ARC 3143	არქიტექტურული დაგეგმარება IV							x			8
25.	ARC 3243	ARC 3141	ურბანული დაგეგმარება III							x			5
26.	ARC 3244		ინტერიერის დიზაინი I							x			5
27.	ARC 3245	ARC 3144	მდგრადი არქიტექტურა IV							x			2
28.	ARC 4141		პროექტირება ქალაქის ისტორიულ ქსოვილში								x		5
29.	ARC 4142		არქიტექტურული კულტურული მემკვიდრეობის თეორია								x		5
30.	ARC 4143	ARC 3243	ლანდშაფტის არქიტექტურა								x		5
31.	ARC 4144		თბილისის არქიტექტურა								x		5
32.	ARC 4145	ARC 3241	შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება და მისაწვდომობა II								x		5
33.	ARC 4146	ARC 3244	ინტერიერის დიზაინი II								x		5
34.	ARC 4241		არქიტექტურული პროექტირების მენეჯმენტი									x	5
35.	ARC 4242		არქიტექტურული პროექტი									x	20
<b>არჩევითი სასწავლო კურსები</b>													
36.	ARC 3146		გრაფიკული დიზაინი არქიტექტორებისთვის										5
37.	ARC 3147		ფორმათწარმოქმნა არქიტექტურაში										5
38.	ARC 3246		მდგრადი არქიტექტურის სემინარი										5
39.	ARC 3247		დისკურსის თემები თანამედროვე არქიტექტურაში										5
40.	ARC 3248	ARC 3142	კომპიუტერული გრაფიკა Revit architecture II							x			5
41.	ARC 3249		თანამედროვე არქიტექტურის კომპოზიციური თავისებურებები										5
42.	GD 1141		ვექტორული გრაფიკა I										5
43.	GD 1243		ვექტორული გრაფიკა II										5
44.	GD 2143		ილუსტრაცია										5
45.	ARCH 2245		გეოდეზია										5
46.	ARCH 3143		საშენი მასალები და ნაკეთობები										5
<b>თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები</b>													

№	საგნის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	VII სემესტრი	VIII სემესტრი	
<b>საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები</b>												
47.	CIS 1140		საოფისე კომპიუტერული პროგრამები	x							5	
48.	ACWR 0007		აკადემიური წერა		x						5	
49.	ENGL 0007		ზოგადი ინგლისური ენა B2.0	x							5	
50.	ENGL 0008	ENGL 0007	ზოგადი ინგლისური ენა B2		x						5	
51.	MATH 0003		კალკულუსი I	x							5	
<b>საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები</b>												
52.	HIST 0001		მსოფლიო ისტორიისა და ცივილიზაციის შესავალი								5	
53.	POLS 0002		პოლიტოლოგია								5	
54.	HIST 0003		საქართველოს ისტორია			x					5	
55.	SOCI 0004		სოციოლოგია								5	
56.	PHIL 0005		ფილოსოფია								5	
57.	PSYC 0006		ფსიქოლოგია								5	
58.	ENGL 0009		ზოგადი ინგლისური ენის უნარები C1.0			x					5	
59.	ENGL 0010	ENGL 0009	ზოგადი ინგლისური ენის უნარები C1				x				5	
60.	ENGL 0005		ზოგადი ინგლისური ენის უნარები B1.0 <sup>1</sup>	x							5	
61.	ENGL 0006	ENGL 0005	ზოგადი ინგლისური ენის უნარები B1		x						5	
<b>თავისუფალი კრედიტები</b>												
62.			თავისუფალი კრედიტი <sup>2</sup>						x		5	
ECTS კრედიტები			სემესტრი	30	30	30	30	30	30	35	25	
			სასწავლო წელი	60	60	60	60	60	60			
			საგნების რაოდენობა	12	12	12	12	12	8			

შენიშვნა:

<sup>1</sup> B1 დონის ზოგადი ინგლისური ენის სასწავლო კურსებს შეისწავლიან B2 დონისათვის არასაკმარისი კომპეტენციის მქონე სტუდენტები, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.

<sup>2</sup> სტუდენტს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში შეუძლია შეისწავლოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ან/და ამავე პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსებიდან, მათი წინაპირობების გათვალისწინებით.

